



მარნეულის კოლეჯი
COLLEGE OF MARNEULI

2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი (შესრულებული სამუშაო)

ამოცანა - სწავლების ხარისხის ამაღლება

შესრულებული სამუშაო

1. სასწავლო წლის დასაწყისში დაიგეგმა მეცადინეობაზე დასწრება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. დაევალა ხარისხის მართვის სამსახურის წევრს მეცადინეობებზე დასწრება. იანვარში მან წარმოადგინა დასწრების ანგარიში, საიდანაც გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები.

ძლიერი მხარეები:

- კოლეჯის ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსი შესაბამისობაშია სამეცადინეო პროცესის სტანდარტებთან,
- მასწავლებლებიც და სტუდენტების უმეტესობა აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში
- სტუდენტები იჩენენ დაინტერესებას სწავლის მიმართ

სუსტი მხარეები:

- სტუდენტებს თეორიული მასალის ათვისების პროცესში ექთნის თანასემწის პროგრამის რამოდენიმე სტუდენტისათვის დარგობრივი ენის სრულყოფილად ათვისების ხარვეზები გამოვლინდა, თუმცა პრაქტიკული მეცადინეობის დროს ეს ხარვეზი სრულიად აღმოფხვრილია
 - ზოგიერთი მასწავლებელი სტუდენტებს აწერინებს მასალას (ოქმი #1 20.08.16, #12 12.01.17))
2. ჯანდაცვის სკოლის სტუდენტებისათვის, კერძოდ ექთნებისათვის, ექთნის თანამემწეებისათვის და ბებიქალებისათვის პრაქტიკული უნარების შეფასების პროცესი და შეფასების ინსტრუმენტი შემუშავდა (ჩექლისტი). სტუდენტების პრაქტიკული უნარების შეფასებისას ასრულებდნენ მიცემულ დავალებას. მასწავლებლებმაც და სტუდენტებმაც ადვილად შეასრულეს მიცემული დავალება
 3. 2017 წლის მისში კოლეჯში ვიზიტზე იივნისში კოლეჯში იმყოფებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც შეამოწმა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ მეხუთე საფეხურის პროგრამის შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან. კოლეჯის ადმინისტრაციას მისცეს

სიტყვიერი რეკომენდაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ კოლეჯში არსებული გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა უნდა დაიხვეწოს და მათში მოხდეს აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინება. სტრატეგიული გეგმა, სასურველია, მოიცავდეს დაგეგმილ აქტივობებს, განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სტრატეგიული დაგეგმარების ელემენტებს და მისი მონიტორინგის მექანიზმებს. ასვე, მოძველებულია კოლეჯის მისია - ის ჩამოკგავს მიზნებისა და ამოცანების ჩამონათვალს. კოლეჯის ადმინსიტრაციისა და ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომლები სრულიად იზიარებენ იმ ფაქტს, რომ კოლეჯში არსებული გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა უნდა დაიხვეწოს და მათში მოხდეს აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინება. სტრატეგიული გეგმა, სასურველია, მოიცავდეს დაგეგმილ აქტივობებს, განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სტრატეგიული დაგეგმარების ელემენტებს და მისი მონიტორინგის მექანიზმებს. ასვე, მოძველებულია კოლეჯის მისია - ის ჩამოკგავს მიზნებისა და ამოცანების ჩამონათვალს. აუცილებლად უნდა მოხდეს ახალი მისიის, სტრატეგიული ექვსწლიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ახალი, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაწერა და დამტკიცება, რაც კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობასაც უფრო ეფექტურს და მოქნილს გახდის. (ოქმი #26, 03.07.17)

გამოკვეთილი ხარვეზები

1. მეორე სემესტრში არ ჩატარდა მეცადინეობებზე დასწრება და, შესაბამისად, არც ანალიზი. ეს უფრო ნათელს გახდიდა პროცესს დინამიკაში მთლიანად. სასურველია ეს ხარვეზი მომავალ სასწავლო წელს გამოსწორდეს
2. პილოტირების პროცესში გამოიკვეთა, რომ შეფასების მომენტში კლას-კაბინეტები არ იყო სათანადო სასწავლო მასალით აღჭურვილი, თუმცა ეს ხარვეზი მაშინვე გამოსწორდა და ყველა სტუდენტს მიეცა საშუალება შეესრულებინა დავალება (ოქმი#4 07.09.16, #5 21.10.16, #6 28.11.16)

ამოცანა - პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, პროფორიენტაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და ჩატარება

შესრულებული სამუშაო

1. 16 სექტემბერს მარნეულში, ა.ა.ი.პ „კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა განათლების ფესტივალი, სადაც მიწვეული იყო მარნეულის სამედიცინო კოლეჯიც. ფესტივალზე კოლეჯის წარმომადგენლებმა მოწვეულ სტუმრებთან წარადგინეს და პოპულარიზაცია გაუწიეს პროფესიულ განათლებას, კოლეჯის მიერ განხორციელებულ პროგრამებს და ა.შ. (ოქმი #2 08.09.16)
2. მეორე სემესტრიდან დაიწყო ინტენსიურად სკოლების წარმომადგენლების (მოსწავლეების და მასწავლებლების) ვიზიტები კოლეჯში, სადაც მათ ხვდებოდნენ კოლეჯის პროფორიენტაციის სამსახურის მენეჯერი, კოლეჯის მენეჯერი და პროფესიული მასწავლებლები და უტარებდნენ საინტერესო საინფორმაციო ლექციას და ექსკურსიას.
3. დაიბეჭდა და გავრცელდა სარეკლამო ბუკლეტები, სადაც მკაფიოდ არის ჩამოთვლილი და აღწერილი კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული პროგრამები

გამოკვეთილი ხარვეზები

1. არ ხდება ინტენსიური და პირადი თანამშრომლობა სკოლის დირექტორებთან, სკოლებში ვიზიტები.

2. არ მოხდა სკოლის დელეგაციების ვიზიტების დაოქმება და აღწერილობა, რაც გამოავლენდა პროცესის სუსტ და ძლიერ მხარეებს და იარსებებდა ვიზიტორი სკოლების ზუსტი ჩამონათვალი

ამოცანა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლება

შესრულებული სამუშაო

1. 08 სექტემბერს გაიმართა ტრენინგი მასწავლებლებისათვის კოლეჯში მოქმედი პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესისა და სტუდენტის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდის მეთოდები და ღონისძიებების შესახებ (ოქმი #2 08.09.16)
2. 2016 წლის 25,26,და27 ნოემბერს პროფესიული მასწავლებელი ლამარა მაჭავარიანი დაესწრო ტრენინგს თემაზე „ვებ-ინტერფეისის დიზაინის ტრენინგი“, რომელიც ჩატარდა საქართველოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ტრენინგზე მსმენელებს გააცნეს სფეროში არსებული სიახლეები და ინოვაციები. (ოქმი # 7 28.11.16, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა)
3. 23 დეკემბერს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერმა სოფიო გომელაურმა ამავე სამსახურის წევრებს სხვა პესონალს გააცნო ინფორმაცია, რომ კოლეჯის პროფესიული მასწავლებელი და პროგრამის ხელმძღვანელი ნათია ბერუაშვილი დაჯილდოვდა სიგელით მოდულური პროგრამების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, რომელიც მას გადაეცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. (ოქმი # 10 23.12.16)
4. კოლეჯის მენეჯერმა, ბუღალტერმა და ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მიიღეს მონაწილეობა ტრენინგში „მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი (ესტონური) მოდელი“ (ოქმი # 13 22.01.17)
5. 20 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით შედგა შეხვედრა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, რომელსაც დაესწრნენ მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მენეჯერი ნინო გომელაური და ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი სოფიო გომელაური. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა რეესტრის წარმოება, ვებ-გვერდის გამართულ მუშაობა, რეავტორიზაციისა და მონიტორინგის პროცესი, ასევე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხებზე (ოქმი # 17 22.03.17)
6. 17,18,29 აპრილს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა (GEA) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით გაიმართა სამდღიანი ერთობლივი ტრენინგი კოლექტიური მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები სოფიო გომელაური და ხატია ბერუაშვილი (ოქმი#22 02.05.17)
7. 15 მაისს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ინიციატივითა და ორგანიზებით ასოციაციის წევრი კოლეჯების პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგი: მოდულური პროგრამებისა და მოდულების შემუშავების საკითხებზე. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი კოლეჯის მასწავლებლებმა ნათია ბერუაშვილმა, მაია ოკმელაშვილმა და მირანდა ბლიაძემ. (ოქმი#23. 18.05.17)
8. 23 ივნისს კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი სოფიო გომელაური დაესწრო სემინარს თემაზე „არაფორმალური განათლების აღიარება პროფესიული განათლების სფეროში; (ოქმი #25. 23.06.17)
9. 25 მაისს შედგა მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრა საგნობრივი დასკვნითი გამოცდების მოსამზადებლად. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს თითოეული გამოცდისათვის აუცილებელი ტექნიკური და მეთოდოლოგიური საკითხი.(ოქმი#24 02.06.17)

10. 12 ივლისს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა „საწარმოო პრაქტიკის როლი პროფესიულ სწავლებაში“ პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს ერთერთი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საწარმო პრაქტიკის კომპონენტის გაუმჯობესებისკენ მიმართული პროექტის შედეგები. შეხვედრას ესწრებოდნენ ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი სოფიო გომელაური და პრაქტიკის ხელმძღვანელი მაია ოკმელაშვილი. (ოქმი#27, 21.07.17)

ამოცანა - დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა

შესრულებული სამუშაო

გაფორმდა ხელშეკრულება 3 ბაგა ბავშვთა ცენტრის მინამცხეთას, რომელმაც მოითხოვა შეხვედრა და შესთავაზა კოლეჯის მენეჯერს თანამშრომლობა, რადგანაც ბაგა-ბავშვთა ცენტრში იწყება რეორგანიზაციები და მათ ესჭირებათ ბაგა-ბავშვთა ცენტრის აღმზრდელი პედაგოგის უნარებში გადამზადებული პერსონალი. ხოლო ვინაიდან მარნეულის კოლეჯი არის ავტორიზებული სასწავლებელი, კარგი იქნებოდა, თუკი კოლეჯის ადმინისტრაცია მოამზადებდა და განახორციელებს „ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში კვებისა და ჰიგიენის ორგანიზაციის“ და „ბაგა-ბავშვთა ცენტრის“ გადამზადების კურსებს (ოქმი#19 03.04.17)

გარდა ამისა, გაფორმდა ხელშეკრულება კოლეჯსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბავშვთა ცენტრის გაერთიანებას შორის. გაერთიანების ხელმძღვანელმა ზაურ ქარიშხალიამ მომართა კოლეჯს თხოვნით, ბაგა-ბავშვთა ცენტრის აღმზრდელის და მზარეულის პროგრამების შემუშავების და განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნული პროგრამების ფარგლებში კოლეჯში განხორციელდა ამ ორი პროგრამის გადამზადების მოკლევადიანი კურსები. აღსანიშნავია, რომ ძალიან დიდი იყო დაინტერესება და კოლეჯი მომავალშიც აპირებს განახორციელოს „ბაგა-ბავშვთა ცენტრის“ და „ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში კვებისა და ჰიგიენის ორგანიზაციის“ კურსების განხორციელებას.

ამოცანა -- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობა „დასაქმების პროგრამის“ ფარგლებში

შესრულებული სამუშაო

სექტემბერში გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და სექტემბრის თვიდან კოლეჯში ამოქმედდა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“ და ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმმა სამი ჯგუფი:

- ექთნის თანაშემწე
- მოლარე
- ფარმაცევტის თანაშემწე.

თითოეულ ჯგუფში დაკომპლექტდა 15 მსმენელი. კურსის ფარგლებში მათ თეორიული მასალის შემდეგ გაიარეს საწარმო პრაქტიკა სხვადასხვა ობიექტებზე. სწავლის დასასრულს მსმენელებს გადაეცათ სწავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები. (ოქმები # 1, 20.08.16 და #11, 30.12.16)

ასევე, სოციალური მომსაურების სააგენტოს და მათ კვლავ გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი და გადმოაგზავნეს ხელშეკრულება სწავლების მომავალი კურსის განსახორციელებლად. მომზადდა ახალი და ადაპტირდა წინა პროგრამები აღნიშნული კურსებისათვის. კერძოდ:

- ექთნის თანაშემწე
- ფარმაცევტის თანაშემწე
- მოლარე
- ბულალტერი
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი

ეს პროგრამები გადაეგზავნა შესაბამის სამსახურებს სახელმწიფო სტრუქტურებში და ხარვეზი არ დაუდგინდა. კოლეჯის ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსი სრულიად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და სტანდარტებს. საწარმოო პრაქტიკის ბაზები მოძიებულია და მათ ხელმძღვანელთან მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულია შეთანხმება პრაქტიკის თაობაზე. ასე რომ, კოლეჯი სრულიად მზადაა განახორციელოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“.

გამოკვეთილი ხარვეზები:

არსებითად ხარვეზები არ გამოკვეთილა

ამოცანა -- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება, ტრენინგი კოლეჯის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის რომლის მიზანია სსსმ სტუდენტებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომ მან შეძლოს საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში მიაღწიოს სწავლის შედეგებს ან აითვისოს გარკვეული უნარები.

მტკიცებულება - ჩარჩო-დოკუმენტი, ტრენინგის დამადასტურებელი სერტიფიკატი

შესრულებული სამუშაო

1. 2016 წლის 16 სექტემბერს დირექტორის #23 ბრძანებით დამტკიცდა ცვლილება კოლეჯის შინაგანაწესში და მას დაემატა მუხლი 17. სსსმ პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო.

გამოკვეთილი ხარვეზი

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა შესაბამისი ორგანოების მოძიება და მასწავლებლებისათვის სპეციალური ტრენინგის ჩატარება, რაც მომავალ სასწავლო წელს უნდა განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ცენტრი სიტყვიერად მზადყოფნას გამოთქვამს თანამშრომლობისათვის კერძო კოლეჯებთან

ამოცანა -- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა

შესრულებული სამუშაო

1. სასწავლო წლის დასაწყისისათვის შერემონტდა და შეკეთდა მოძველებული ან/და დასზიანებული ინფრასტრუქტურა, გაკეთდა რემონტი კლასებში
2. გარემონტდა და აღიჭურვა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულური პროგრამის კლას-კაბინეტი
3. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის დაიწყო სარემონტო სამუშაო რამოდენიმე საკლასო ოთახში;
4. გარემონტდა და აღიჭურვა სატანადო ავეჯითა და ტექნიკით ახალი ოთახი ადმინისტრაციისათვის
5. შეძენილი იქნა ახალი კომპიუტერები
6. გარემონტდა ახალი სველი წერტილი სსმ პირებისათვის;
7. როგორც სტუდენტების ანონიმური გამოკითხვებიდან გამოიკვეთა, არ იყო სახარბიელო მდგომარეობაში სტუდენტებისათვის განკუთვნილი სველი წერტილები. გოგონებისათვის საპირფარეშოები კი არ იყო საკმარისი. დაიგეგმა მომავალ სასწავლო წელს კოლეჯის სან-ჰიგიენური წერტილების გარემონტება

გამოკვეთილი ხარვეზები

2017-18 წლისათვის უნდა გარემონტდეს დგანახლდეს სტუდენტებისათვის განკუთვნილი სველი წერტილები და ადმინისტრაციისათვის ერთი ოთახი

ამოცანა - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება

შესრულებული სამუშაო

1. პირველი სემესტრის განმავლობაში ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დაიგეგმა და შემდეგ განხორციელდა მეცადინეობებზე დასწრება. (ოქმი #1, 20.08.17) შემდეგ კი გაკეთდა დასწრების შედეგების კვლევა დ და ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი. (ოქმი #12, 12.01.17)
2. მთელი წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ჩატარდა სტუდენტებისა და მასწავლებლების ანონიმური გამოკითხვა, რომლის შედეგების ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები. (ოქმი#16, 17,03.17)
3. შემუშავდა და დამტკიცდა ანონიმური გამოკითხვების პასუხების გამოსათვლელად ახალი რეესტრი
4. მთელი წლის განმავლობაში ბანკის მოლარე-ოპერატორის მოდულური პროგრამის განხორციელების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ტარდებოდა ამ პროგრამის მეცადინეობებზე დასწრება და დაოქმება (შიდა მხარდაჭერის ჯგუფის 2016-2017 წლის ოქმები)

გამოკვეთილი ხარვეზები

არ ჩატარდა საგნობრივ მეცადინეობებზე დასწრება მეორე სემესტრში, და, შესაბამისად, არც ანალიზი. ეს უფრო ნათელს გახდიდა პროცესს დინამიკაში მთლიანად. სასურველია ეს ხარვეზი მომავალ სასწავლო წელს გამოსწორდეს

ამოცანა - არაქართულენოვანი სტუდენტების ინტეგრაცია

შესრულებული სამუშაო

1. დაიგეგმა და ჩატარდა ქართული ენის კვირეული, რომელიც მიემდგვნა 14 აპრილს - ქართული ენის დღეს. 13 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით მთელი კოლეჯის მასშტაბით ჩატარდა ქართული ენის დღის 14 აპრილისადმი მიძღვნილი კვირეული. მთელი კვირის განმავლობაში სტუდენტები წარმოადგენდნენ პრეზენტაციებს ქართველი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებაზე. 21 აპრილს ჩატარდა დასკვნითი ღონისძიება, რომელზეც ადმინისტრაციის წარმომადგენელმა სოფიო

გომელაურმა შეკრებილ სტუმრებს წარმოუდგინა პრეზენტაცია 1978 წლის 14 აპრილის ისტორიის შესახებ, „დედაენის ძეგლის“ და მისი ავტორის, ელგუჯა ამაშუკელის შესახებ. პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტებმა წაიკითხეს სხვადასხვა პოეტების ლექსები, რომლებიც ამ კვირეულის თემატიკას ესადაგებოდა. მომხსენებელმა კვირეულის ყველა მონაწილე სტუდენტს, მასწავლებელს, ადმინისტრაციის თანამშრომელს დიდი მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოებისათვის. დასასრულს კვირეულის ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი. (ოქმი #12, 12.01.17 და ოქმი #21, 21.04.17)

2. დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა თემატური პრეზენტაციები და კვირეულები, სადაც მასწავლებლებს მიეცათ სიტყვიერი დავალება, განსაკუთრებით გაემახვილებინათ ყურადღება და აქტიურად ჩაერთოთ პროცესში არაქართულენოვანი სტუდენტები. პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა დინამიკაში (ოქმი #12, 12.01.17)
3. ყველა მეცადინეობაზე მასწავლებლები სუტყვიერი დავალების შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ არაქართულენოვანი სტუდენტების ჩართულობას და აქტიურობას.

გამოკვეთილი ხარვეზები:

1. ქართული ენის კვირეულის დასასრული არ იყო განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში აღნიშნული და არ ჩატარდა სტუდენტური კონცერტით, რაც ტრადიციულია, ჩვენი კოლეჯისათვის. კარგი იქნება ამ ხარვეზის მომავალ წელს გამოსწორება
2. არსად არ დაოქმდა და აღინუსხა მეცადინეობებზე არაქართულენოვანის სტუდენტების შედეგების დინამიკა, რაც უნდა გაითვალისწინოს ხარისხის მართვის სამსახურმა

ამოცანა სტუდენტებისათვის საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა

შესრულებული სამუშაო

დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები სტუდენტებისათვის:

1. კოლეჯის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სკვას მიერ ორგანიზებულ ბუმტების ფეხბურთის ჩემპიონაში (ოქმი#24, 02.06.17)
2. კოლეჯის სტუდენტებმა მინაწილეობა მიიღეს სკვას მიერ ორგანიზებულ საახალწლო ღონისძიებაში (სტუდენტური კონცერტი) (ოქმი#11, 30.12.16)
3. კოლეჯის სტუდენტმა ნატა ვანიევამ ონაწილეობა მიიღო სკვა-ს მიერ ორგანიზებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა მეორე კონფერენციაში თემით "მოლარე-ოპერატორის პროგრამა და დამსაქმებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები". თემის ხელმძღვანელი კი იყო თავად ნათია ბერუაშვილი. (ოქმი #25, 23.06.17)
4. 22 ივნისს კოლეჯის სტუდენტებისათვის მოეწყო საინტერესო და შემეცნებითი ექსკურსია სათაფლიის გამოქვაბულში, პრომეთეს მღვიმეში და ქალაქ ქუთაისში.

გამოკვეთილი ხარვეზი

რეკომენდირებულია ასეთი ტიპის ღონისძიებებზე, როგორცაა კონცერტი და სპორტული შეჯიბრი, უფრო მეტად მომზადებული სტუდენტები შეურჩნენ.

ამოცანა - სამოქალაქო კულტურის განვითარება სტუდენტებში

შესრულებული სამუშაო

1. დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები სტუდენტებისათვის:
 - ეკოლოგიის თემატიკის - კვირეულის ფარგლებში მასწავლებლები გიორგი პაპაშვილი და ნანა გვაზავა სტუდენტებთან ატარებდნენ საინფორმაციო ლექციებს ეკოლოგიის რაობის, მისი დაცვისა და გადარჩენის შესახებ. გარდა ამისა, ჯანდაცვის სკოლის სტუდენტების მიერ სხვადასხვა ჯგუფებში მოეწყო საინტერესო პრეზენტაციები ეკოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. (27 მარტი - 31 მარტი - ოქმი #19, 03.04.17)

- დედაენის დღის ღონისძიება -ქართული ენის დღის 14 აპრილისადმი მიძღვნილი კვირეული. მთელი კვირის განმავლობაში სტუდენტები წარმოადგენდნენ პრეზენტაციებს ქართველი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებაზე. 21 აპრილს ჩატარდა დასკვნითი ღონისძიება, რომელზეც ადმინისტრაციის წარმომადგენელმა სოფიო გომელაურმა შეკრებილ სტუმრებს წარმოუდგინა პრეზენტაცია 1978 წლის 14 აპრილის ისტორიის შესახებ, „დედაენის ძეგლის“ და მისი ავტორის, ელგუჯა ამაშუკელის შესახებ. პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტებმა წაიკითხეს სხვადასხვა პოეტების ლექსები, რომლებიც ამ კვირეულის თემატიკას ესადაგებოდა. მომხსენებელმა კვირეულის ყველა მონაწილე სტუდენტს, მასწავლებელს, ადმინისტრაციის თანამშრომელს დიდი მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოებისათვის. დასასრულს კვირეულის ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი, (13-24 აპრილი, ოქმი #21, 21.04.17)
- ექთნის კვირეული - ჩატარდა ტრადიციული „ექთნის კვირეული“ კვირეულის ფარგლებში სამედიცინო სკოლის სტუდენტებისათვის და ყველა სხვა დაინტერესებული სტუდენტისათვის ტარდებოდა საინფორმაციო ლექციები, რომლებშიც დეტალურად იყო ახსნილი საქართველოში საექთნო საქმის განვითარების ისტორია, ექთნის როლი მნიშვნელობა და ა.შ. პროექტის განმახორციელებლები იყვნენ მასწავლებლები:
 - ბელა გუჯეჯიანი
 - ნანა ხარაიშვილი
 - ესმირა მუსტაფაევა

(15-19 მაისი, ოქმი #12. 12.01.17).

- სახალისო ეკონომიკა - ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა პრეზენტაცია "სახალისო ეკონომიკა - მომავალი ბანკირები". სტუდენტებმა მოიძიეს და დაამუშავეს მათთვის საინტერესო და აქტუალური თემატიკა ფულის კუპიურების, მათი წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ღონისძიების ხელმძღვანელი იყო მაია ოკმელაშვილი. (6 აპრილი, ოქმი #21, 21.04.17)
 - ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული - სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა
2. 21 მარტს კოლეჯის ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების სკოლების სტუდენტებისათვის მასწავლებლებმა ბელა გუჯეჯიანმა, ნანა ხარაიშვილმა და ლეილა ქვაცაბაიამ ჩატარეს საინფორმაციო ლექციები. მათ აუხსნეს სტუდენტებს დაუნის სინდრომის არსი, მიმოიხილეს მისი აღმოჩენის ისტორია, გააცნეს სტუდენტებს, თუ რატომ გამოიყენება ამ დღის აღსანიშნავად ფერადი წინდები (ყველა მონაწილეს დაურიგდა ფერადი წინდა). ასევე, გაუსვეს ხაზი, რომ დაუნის სინდრომის ადამიანების მარგინალიზაცია დაუშვებელია და ისინი საზოგადოებაში უნდა იყვნენ ინტეგრირებულნი. ლექციის შემდეგ გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში. (ოქმი #17, 22.03.17).
 3. 1 დეკემბერს მსოფლიო შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. მარნეულის სამედიცინო კოლეჯში ჩატარდა ამ დღისადმი მიძღვნილი საინფორმაციო ლექცია. კოლეჯის პარტნიორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი“ კოლეჯის ხარსაიხის სამსახურს მიაწოდა საინფორმაციო ბუკლეტები, ფლაერები, ასევე შიდსთან ბრძოლას აღმნიშვნელისამკერდე ნიშნები, რომლებიც დაურიგდათ კოლეჯის სტუდენტებსა და მასწავლებლებს.(ოქმი#8, 02.12.16)
 4. 1 ივნისს, მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიის პრეზენტაცია და საინფორმაციო შეხვედრა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, რომელიც ჩატარდა პროექტის „ადამიანის უფლებების საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის პროცესის გაუმჯობესება ცენტრსა და რეგიონებს შორის“ ფარგლებში. საინფორმაციო შეხვედრას დაესწრნენ ჩვენი კოლეჯის მასწავლებლები და სტუდენტები. შეხვედრაზე ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა გენდერული თანასწორობა, სამართლიანი

სასამართლოს უფლება და ბიზნესი. შეხვედრაზე გაჟღერებული საკითხები ძალიან საინტერესო და ინფორმაციული იყო ჩვენი სტუდენტებისათვის. (ოქმი#24, 02.06.17)

ყველა ამდონისძიების მიზანი იყო სტუდენტებში საკუთარი პრეზენტაციული უნარების გამოუმუშავება და გამოვლენა, სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბება, ინტეგრაცია ტანამედროვეობასთან და ა.შ.

გამოკვეთილი ხარვეზი

ტექნიკური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა პროექტი ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული. აუცილებლად უნდა განხორციელდეს მომავალ წელს

გამოკვეთილი ხარვეზი

ტექნიკური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა პროექტები „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული“ და „შაქრიანი დიაბეტი - პრევენცია და მოვლა“. აუცილებლად უნდა განხორციელდეს მომავალ წელს

ამოცანა -- ბიბლიოთეკის ფონდის მუდმივი განახლება

შესრულებული სამუშაო

ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო ბეჭდური და ელექტრონული ახალი კონსპექტ-სახელმძღვანელოებით

გამოკვეთილი ხარვეზი

სასურველია ეტაპობრივად მოხდეს ბიბლიოთეკის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა

ამოცანა -- კოლეჯში წესრიგის, სამედიცინო და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

შესრულებული სამუშაო:

27 თებერვალს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში ვიზიტით იმყოფებოდა ქ.მარნეულის სახანძრო-სამაშველო განყოფილების ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორი ირმა ბურნაძე. მან განახორციელა კოლეჯის ტერიტორიის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დეტალური შემოწმება. შემოწმების შედეგად არსებითი დარღვევები არ აღმოჩნდა. ინსპექტორი ასევე გაეცნო მარნეულის სამედიცინო კოლეჯის უსაფრთხოების დებულებას.

ქალბატონმა ირმა ბურნაძემ კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებს ჩაუტარა ზეპირი ინსტრუქტაჟი და დაუტოვა რეკომენდაციები. ინსტრუქტაჟის მიხედვით სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების საკონტროლო შემოწმება ჩატარდება ექვსი თვის შემდეგ, რომლის დროსაც უნდა მოხდეს ბოლის დეტექტორების გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

ვიზიტის ბოლოს კოლეჯის ადმინისტრაციას გადაეცა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა #23/13/2-8.,

ამოცანა -- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულური პროგრამის დამატება ავტორიზაციის გზით

შესრულებული სამუშაო

1. შემუშავდა და დამტკიცდა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულური პროგრამის მოდულები
2. შეირჩა და გაფორმდა ხელშეკრულებები პრაქტიკის ბაზებთან, კერძოდ კი მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან
3. შეირჩა და გაფორმდა ხელშეკრულებები მოდულის განმახორციელებელ მასწავლებლებთან
4. მოეწყო და აღიჭურვა შესაბამისი სასწავლო კლას-კაბინეტი (c გარემო)

5. 19-20 ივნისს კოლეჯს ეწვია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც შეამოწმა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ მეხუთე საფეხურის პროგრამის შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან.

გამოკვეთილი ხარვეზები:

ახლადგამოკვეთილი ხარვეზები

2017 წლის 20 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით შედგა შეხვედრა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, სადაც განიხილეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მეანიზმების გაუმჯობესების გზები. შეხვედრის დასასრულს მონაწილეებს გადაეცა გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სარეკომენდაციო ფორმები. ასევე, ორგანიზატორებმა სიტყვიერი რეკომენდაციებით ჩამოაყალიბეს მისიის ხედვა.

კოლეჯის ადმინისტრაციისა და ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომლები სრულიად იზიარებენ იმ ფაქტს, რომ კოლეჯში არსებული გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა უნდა დაიხვეწოს და მათში მოხდეს აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინება. სტრატეგიული გეგმა, სასურველია, მოიცავდეს დაგეგმილ აქტივობებს, განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სტრატეგიული დაგეგმარების ელემენტებს და მისი მონიტორინგის მექანიზმებს. ასევე, მოძველებულია კოლეჯის მისია - ის ჩამოჰგავს მიზნებისა და ამოცანების ჩამონათვალს. აუცილებლად უნდა მოხდეს ახალი მისიის, სტრატეგიული ექვსწლიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ახალი, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაწერა და დამტკიცება, რაც კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობასაც უფრო ეფექტურს და მოქნილს გახდის.